საჯარო ბიბლიოთეკა თბილისი

წელიწადი 1-ლი № 12

რედაქციის მისამართი პუშკინის ქუჩა სახლი ვოკიელოვისა „ძმობის" სტამბა-ში. ქ. ქუთაისი

ხუთშაბათი 29 ივნისი 1917

რედაქტორი: კატო მიქელაძე

გამომცემელი ქალთა კლუბი

ხმა ქართველი ქალისა

ფასი 10 კ. | დემოკრატიული საპოლიტიკო სამეცნიერო და სალიტერატურო გაზეთი | ფასი 10 კ.

გაზეთის ფასი:		განცხადების ფასი:	
1 წლით	6 მ.	პირველ გვ. პეტიტი	25 კ.
6 თვით.	3 მ. 50 კ.	უკანასკნელ გვერ.	15 კ.
1 ნახ. თვ.	1 მ. 80 კ.	სამგლოვიარო განცხადება	5 მ.
1 თვით	80 კ.		

ქალებო, დაიცავით საარჩევნო უფლება!

განცხადება.

ქუთაისის საერთო ქალთა პოლიტიკური კლუბის ბიურო მოთავსებულია თბილისის ქუჩაზე სასტუმრო „იმპერიალის" გვერდით ქურთოვის შენობაში. ბიურო ღიაა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე და 5 საათიდან საღამოს 8 საათამდე. კვირეულად იმართება საზოგადო კრება საღამოს 7 საათზე კლუბის წევრთათვის. ვსთხოვ წევრებს თავი მოიყარონ ყოველ კვირა საღამოს 7 საათზე კლუბის ბიუროში.

ქართველ ქალებს სცემენ და აუპატიურებენ

[illegible] ბაში დაფარული იყო და სიბნელე თავის სუდარაში ხვევდა და ადამიანთა უმეტყველობა საიდუმლოთ ასამარებდა გულში, ამ თავისუფლების სხივთა სინათლეში მთელი თავისი სიმძაფრით დაგვენახა, მაზე დუმილი დღეს შეუძლებელია, რადგან მოგვეცა ნება მეტყველობისა და ჩვენი თავისუფალი სიტყვა ასეთს სიავის გამომჟღავნებას უნდა მოხმარდეს. ჩვენ არ გამოუდგებით ძველს ცოდვებს და მის ძიებას თუ რა გადახდა ქართველს ქალებს ამ ასი წლის განმავლობაში, რამდენი ემსხვერპლა სიცოცხლეს და ტანჯული ჩაესვენა ცივ სამარეში. ჩვენ აღვნიშნავთ მხოლოდ მას, თუ რა ხდება დღეს ჩვენში და როგორ შეიგნეს მამრობითი სქესის ნაძირლება თავისუფლება ადამიანის პიროვნებისა.

მათ გონიათ, რომ პოლიტიკური თავისუფლება და ადამიანის და მოქალაქის უფლება გამოიხატება იმაში, რომ ჩაიდინონ ის, რაც მათ პირუტყვს ბუნებას მოეპრიანება. და ასეთი თავისუფლების შეგნებით მათი უწესო საქციელი ყოველის საზღვარს სცილდება, რომლითაც ყველაზე მეტად ქალები იტანჯებიან. დღეს საკმარისია ვინმე ლოთმა, ეროტომანმა აითვალთვალოს რომელიმე ქალიშვილი, რომ ის მისი მსხვერპლი გახდეს, თუ რომ უკანასკნელი გავლენიანი პირისუფლების პატრონი არ არის. ამ ორი თვის განმავლობაში ქუთაისის დაბა სოფლებში ისე გახშირდა ქალების მოტაცება, როგორც უძლური ოჯახში მელებისაგან საქათმოდან ვარიების მოპარვა.

სოფელ კულაში გაიტაცეს მკე[illegible] ქალიშვილი, მას სხვა პირისუფალი არ ჰყავდა გარდა ერთი მოხუცებული მამიდასი და პატარა ძმისა, რომელნიც მისი შრომით არსებობდნენ. და მიუხედავათ [illegible] სა აღმასრულებელ კომიტეტთან და მილიციონერებთან ეს ქალი მოძალადე საქმრომ გაიტაცა, შუა დღისას, დღისით, მზისით შუა ბაზარში და მის გულის შემზარავ კივილ ჩხივილზე მას არავინ მოსარჩლე და მიმშველებელი არავინ არ გაჩენია. ახალსენაკში გაიტაცეს რამოდენიმე დღის წინათ ქალიშვილი და გაუპატიურებელი სამი დღის შემდეგ უკანვე გამოსტაცეს თავის ჯალათს, რომელიც დღეს სიკვდილის პირად მიმდგარი წევს ადგილობრივ კომისარიატის ბინაზე. სოფელ მაღლაკში მოიტაცეს ქალიშვილი ძალად ჯვარი დასწერეს მას და დღეს, კიდევ რამოდენიმე ოჯახს თავს დასხმას ემუქრებიან, რომლებსაც შიშით სხვა და სხვა ალაგს გადაუმალავთ თავიანთი შვილები. სხვა მიყრუებულ სოფლებში რა ხდება ერთმა ღმერთმა უწყის! ასეთს ბარბაროსულ მოვლენას, ასეთს გათახსირებას ქართველი კაცისას არა თუ ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა, არამედ პირზე ღიმილით უხვდებიან ის პირები, რომლებიც ცარიელი ენით ქალთა სწორუფლიანობას აღიარებენ. უბრალო ჯიბგირები, ქურდები დასაჯეს, დასაჯეს სასტიკათ და ასეთი ძალადობა ადამიანის სულზე და ხორცზე დღემდე არავითარს სასჯელს არ იწვევს და სრულიად გულ გრილათ ხვდებიან მას. ქ. ქუთაისში ამ ერთი კვირის წინათ პარკის სარჩევ სახელოსნოში, რომელიც მოთავსებულია სათავათ აზნაურო გიმნაზიის შენობაში რამოდენიმე კაცის თვალწინ სახელოსნოს პატრონმა მუშტით ცემა ხანში შესული მუშა ქალი. სამტრედიაში ერთმა მხეცმა ხალხის წინ ცემა რომ არ აკმარა, მკლავზე უკბი[illegible] დედაკაცს და მთელი ლუკმა ხორცი ამოაგლიჯა. ქალებო, გესმის რა ხდება ჩვენს სამშობლოში, სადაც ქალთა სწორუფლიანობას ხელს აწერს ყველა პოლიტიკური პარტიები?

დღეს ამ საერთო განახლების დროს და მოქალაქობრივი ცხოვრების განმტკიცების დროს, ის ხდება ჩვენ ქვეყანაში, რაც მე 10 და 12 საუკუნის ქართველი კაცისათვის წარმოუდგენელი იყო! ქართველს ქალებს სცემენ და აუპატიურებენ ქართველი მამაკაცები!!

მიხედეთ სოფლად ქალებს!

ვისაც საშუალება ჰქონია პირდაპირ, მიუდგომელათ გაეთვალისწინებია ყოველმხრივ სოფლის ცხოვრება [illegible] შეამჩნევდა იმ სამწუხარო მოვლენას, რომ სოფელი საერთოდ, შედარებით ქალაქთან, ძალიან კონსერვატიულად და თანამიმდინარე რევოლიუციის შეუფერებლათ აზროვნობს. აქ არ გამოუდგებით იმ ფატალურ უკუღმართ მიზეზებს, რომელთა შედეგია ეს სამწუხარო მოვლენა. ავღნიშნავ მხოლოთ როგორც ნიმუშს ასეთი აზროვნებისას, ქალთა საკითხის განმარტება, გამუქებას სოფლად და სოფლის წურბელთა როლს თავისუფლებისს გავრცელებაში.

დიდებული რევოლიუციის ტალღებმა ააფორიაქა თვით მივარდნილ სოფლელთა ტვინი და გრძნობა. სადღეისო საჭირბოროტო საკითხებმა მათაც აუღელვა გული და დღეს აქაც გაისმის ხმა სხვა და სხვა მოქალაქობრივი უფლებებზე, მხოლოდ, სხვათა შორის, (მასხრობით) მოიხსენიებენ ქალების უფლებრივად მამაკაცებთან გათანასწორების საკითხს. მე არ ძალმიძს იმ უშვერი სიტყვების და ბილწი აზრების აქ მოხსენება, რომელსაც ხარჯავენ „მჭერმეტყველურად" სოფლათ ქალთა სწორუფლებიანობის თანამგრძნობთა მიმართ. ვინ არიან ეს პატივცემული ვაჟბატონები? სოფლის მღვდელი, სოფლის [illegible] და აბლაკატები. ზოგს მათგანს მოყავთ ციტატები საღმთო წერილებიდან, ზოგს „ვეფხის ტყაოსნიდან" და ამტკიცებენ ადამიანთა უთანასწორობის მიუცილებლობას. კარგი და კეთილი ვაჟ—ბო, მაგრამ რაკი ქალთა საწინააღმდეგოთ მონახეთ უებარი ლოღიკის წყარო, იქონიეთ მოქალაქობრივი გამბედაობა არ უმტყუნოთ თქვენს მიმართულებას და ბოლომდე გაყევით თქვენს პროგრამას, დაამტკიცეთ ნიკოლოზის თვით მპყრობელობის უფლება (მონებო ემორჩილებოდეთ თქვენს ბატონებს) და სხვა ბევრი ამისთანები!.

მერე რა ნიადაგი აქვს ამ ვაჟ-ბის. ქადაგებას? მოგეხსენებათ მღვდლის ავტორიტეტი სოფლათ და ისიც, რომ არ იყოს საუბედუროთ იმდენათ შეუგნებელია ჩვენი სოფლელი ქალები საზოგადოთ, რომ თვით უდიერად მასხრობენ ქალთა საკითხზე და ადასტურებენ მოწინააღმდეგეთა სიტყვებს: „მართალს ამბობ, შენი ჭირიმე, სად გაგონილა ქალის გათანასწორება მამაკაცთან. ეს მხოლოდ უსაქმო, ნასწავლ, ქალაქელ ქალების გამოგონილიაო!"

დებო და დედებო, თვალები გა[illegible] და [illegible] ერთათ შეგნებულ ჩვენს ამხანაგებს. ნასწავლი, ქალაქელი, სოფლელი და ყველა საერთოთ ქალები [illegible] დაჩაგრულია თანამედროვე ცხოვრებაში. ჩვენ ყველას გვაერთებს საერთო ტანჯვა, საერთო უუფლებობა, საერთო დამცირება და სიდუხჭირე. დროა გავსწიოთ საერთო მიზნისკენ, შევიგნოთ და სხვასაც შევაგნებინოთ, რომ ჩვენ ავეჯი არა ვართ, და არც იარაღი ვართ მამაკაცთა ვნებიერების დასაკმაყოფილებელი. ჩვენ ვართ ადამიანები და ამიტომ უნდა გავხდეთ სრულიათ სწორ უფლებიანი მოქალაქეები. გახსოვდეთ რომ ჩვენი შეერთებით ჩვენ მტრებს ხელიდან გამოვაცლით უკანასკნელ ჩვენ საწინააღმდეგოთ ამართულ ციხე-სიმაგრეს, რომ ჩვენ მოუმზადებელი ვართ საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის. საჭიროა დარაზმული გამოსვლა! ვაჩვენოთ ქვეყანას, რომ ჩვენ შეგნებულად ვუყურებთ ცხოვრებას და კარგადაც გვესმის ჩვენი და საერთო თავისუფლება!

მოქალაქენო, შეგნებულნო „ამხანაგნო" ქალებო, საჭიროა მუშაობა სოფლად! დაუახლოვდით და შეაგნებინეთ სოფლის მუშა ქალს მომენტის მნიშვნელობა!.. მიხედეთ სოფლად ქალებს!

ლენა ზადე.

15 ივნისი 1917 წ.

წერილი ბათომიდან.

ბატონო რედაქტორო! შეიძლება პატივცემულ მკითხველებმა თქვენის გაზეთისა იფიქრონ, რომ მე ვარღვევ ახალთაობის მოთხოვნილებასა მით რომ ამ წერილში მოგმართავთ თქვენ, როგორც „ქალბატონ-

სა“ და არა „ამხანაგსა“. მაგრამ ვერავითარი ახალთაობა ვერ აღმოფხვრის ჩემის გულიდან იმ მამა-პაპიდგან გარდმოცემულ ზრდილობასა და იმ წმინდა მცნებებს, რომლითაც ხელმძღვანელობდნენ ჭეშმარიტნი ქართველები დედათა სქესის საზოგადოებაში.

დიდ აღტაცებაში მომიყვანა მეათე ნომერმა თქვენის გაზეთისამ, რომელშიდაც მოთავსებულია მრავალი მშვენიერი და საგულისხმო აზრები. მათ შორის განსაკუთრებითი საყურადღებო ცნობებს გვაძლევს თქვენი თანამშრომელი „პირველი სუფრაჟისტკა“. სულით და გულით მსურველი ვარ, რომ თქვენ გაზეთს მიეცეს შესაფერი გავრცელება ჩვენს საზოგადოებაში და მისი სანუგეშო ხმა ისმოდეს იმ დაჩაგრულ და დამონებულ დედათა სქესთა შორის, რომელნიც ესწრაფვებიან თავისუფლების მოპოებასა.

ეგ სანუგეშო ხმა თქვენის გაზეთისა უმეტესად საჭიროა ბაიომის ოლქში და იმ ალაგებში, სადაც ცხოვრებენ ლაზები. ზემო მოხსენებულ ოლქში, სადაც უმრავლესი მცხოვრებლები შეადგენენ აჭარლებსა, უფრო ხმარობენ ქართულ ენასა; ლაზები კი სარგებლობენ დამტვრეულ მეგრულის ენითა. მთელი ეს ადგილები მოფენილია ძველი მონასტრებით და ეკლესიებით. მრავალი ზედწარწერილობა ამ ეკლესიების და მონასტრების კედლებზედ ქართულ ენაზედ გვიმტკიცებს, რომ აქ ძველათ აღყვავებული ყოფილა ჭეშმარიტი ქრისტიანობა და ის მაღალი განათლება, რომლითაც სარგებლობდენ ძველი ქართველები. სოფელ ტბეთში აქამდისინ სდგას მშვენიერი და დიდებული ტბეთის მონასტერი, რომლის ვრცლად აღწერილობას გვაძლევენ ჩვენი დაუზარებელი არხეოლოგები დიმიტრი ბაქრაძე, გიორგი ყაზბეგი, ნიკოლოზ მარი და გრაფინია უვაროვი. საკვირველი ის არის, რომ ამ ტბეთის მონასტერთან ძველ ქართველ სამღვდელოებას დაუარსებიათ შესანიშნავი უმაღლესი სასწავლებელი, სადაც სწავლულობდენ ქართველნი მოსწავლენი. მათ შორის ითვლებოდა ჩვენი დიდი და დაუვიწყარი მგოსანი შოთა რუსთაველიც მახლობლივ ტბეთის სოფლისა გახლავს სოფელი რუსთავი. შეიძლება ამ სოფლიდგან იყო ეგ სასიქადულო პატრიარქი ჩვენის მგოსნებისა.

ყველა გათათრებული ქართველნი დღემდე პატივსა სცემენ ყოველ ქრისტიანობის ნაშთებსა, მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ ეგ ნაშთები თანდათან მოდიოდა დარღვევაში. დრო არის რომ ჩვენმა პატრიოტებმა აღამაღლონ თავისი ხმა და მიიღონ მონაწილეობა მათს განახლებაში.

მიზანი ამ ჩემის წერილისა ის არის, რომ თქვენ და თქვენმა პატივცემულმა თანამშრომლებმა მიიღოთ თავის მფარველობის ქვეშ, ის დატანჯული დედათა სქესი, რომელნიც ატარებენ უბედურ ცხოვრებასა გათათრებულ ქართველებთა შორის. პირუტყვებს უმეტესი პატივისცემა აქვთ, მინემ აქაურ დამონებულ და დამუნჯებულ ქალებს.

ეგ დატანჯული დედაკაცები განსაკუთრებით საყურადღებოა იმ ადგილებში, რომლებიც ჩვენ ჩავიგდეთ ხელში თათრებიდგან ამ ომიანობის დროს. თქვენ იქ ხშირათ შეგხვდებათ შემდეგი სურათი: წინ მიდის ამაყად ლონიერი, ახოვანი და ლამაზი ვაჟკაცი, უკან მას მოსდევს პირდაფარული მისი ცოლი, დატვირთული [illegible], რომელიც შეადგენს 5 ან 6 ფუნტსა წონით. პირუტყვს შეუძლია გამოიჩინოს რაიმე წინააღმდეგობა, პატრონის წინაშე, როცა გრძნობს დაღალვას დიდი აუტანელი ტვირთით. საბრალო ქალი კი ვერ იღებს ხმას ვერ ბედავს წარმოსთქვას ერთი სიტყვა დაღალულობისა გამო თქვენ მხოლოთ გესმით მისი ტანჯული და დაღლილი გულის ამოსკვნა.

ჯერ არავინ არ ყოფილა და არც არის იმნაირი ადამიანი, რომ წარმოსთქვას ერთი სიტყვა გამოსაყვანად ამ დატანჯულ ქალებისა მათის უკიდურესი მდგომარეობიდან. რაკი ღმერთმან მოგვივლინა თავისუფლების სხივი და მიეცა დედათა სქესს ნება თავისუფალის მსჯელობისა, იმედია ხმა თქვენის გაზეთისა განაღვიძებს ჭეშმარიტ ქართველს სულს, მაგრამ ამ განღვიძებაში პირველი ალაგი უნდა ეჭიროს გულმტკივნეულ და განათლებულ ქალებს: რომლებსაც თავი მოუყრიათ თქვენს გაზეთში.

არ იფიქროთ, ბატონო, რომ მე ამას მოგახსენებთ პირმოთნეობით. მე ვარ თაყვანისმცემელი თქვენის გაზეთისა მისთვის, რომ მხოლოდ ამ ერთმა გაზეთმა მთელ საქართველოში მიიღო თავის თავზედ შრომა დედრობითი სქესის გამოფხიზლებისათვის.

ქ. დ. მაჭავარიანი.

(შემდეგი იქნება.)

საზოგადო ტემპერამენტის მსხვერპლზე.

რა უნდა უყოთ პროსტიტუციას?

I.

მიზეზი პროსტიტუციისა.

პროსტიტუცია არსებობს ძველად[illegible] ის იყო ებრაელებში, საბერძნეთში, რომში და სხვა. ჩვენ მას ვხედავთ საშუალო საუკუნეში და ეხლა.

ასეთი სიძველისა და შეურყევლობისა გამო ბევრი იმ აზრისაა, რომ პროსტიტუცია დამოკიდებულია ადამიანის ბუნებრივ მოთხოვნილებაზე, რისგამო მასთან ბრძოლა შეუძლებელია. მაგრამ რომ ვიმსჯელოთ ჩვენს ბუნებრივ მოთხოვნილებაზე სიძველისა და უცვლელობის მიხედვით, მაშინ უნდა ვაღვიაროთ, რომ ქურდობა, მკვლელობა და ყოველგვარი ბოროტმოქმედება წარმოადგენს აგრეთვე ადამიანის ბუნებრივ მოთხოვნილებას, რომლისგამო არც მასთანაა ბრძოლა საჭირო და არ უნდა მივესწრაფებოდეთ მის მოსპობას.

უფრო მართალი იქნება ის, რომ განვიხილოთ პროსტიტუცია, როგორც ნაშთი ისეთ დროისა, როცა დამოკიდებულმა ორთავე სქესისა ცნობილი იყო თავისი უწესოებით. მართლაც შეუძლებელია ვიფიქროთ, რომ გარყვნილება შეადგენდეს ბუნებრივ მოთხოვნილებას მამაკაცისას. თვით ბუნება წინააღმდეგია ამისა და ბიწიერებისათვის ხალხს ის ტანმრთელობით ახდევინებს.

რომ შევებრძოლოთ, რომელიმე სიავეს და არა მგონია ვინმემ უარყოს რომ პროსტიტუცია არის სიავე, ჩვენ უნდა ვიცოდეთ თუ რა აიძულებს ქალებს თავის გაყიდვას და მამაკაცებს მათ ყიდვას. ასეთი მიზეზების გამორკვევა საჭიროა, რომ ვიცოდეთ თუ როგორ ავიცილოთ ის თავიდან.

ზოგიერთი ექიმები განსაკუთრებით ისენი, ვინც ახლო სდგას საექიმო საპოლიციო ზედამხედველობასთან პროსტიტუციაზე სცდილობენ ახსნან მიზეზები თუ რა აიძულებს ქალებს ბიწიერების თავის მიცემას.

Commenge-ი პროსტიტუციას პარიზში სხვა და სხვანაირი მიზეზითა ხსნის.

მილიტანტკები ინგლისში.

II

იგრძნო რა ძალა მთავრობისა კავშირმა, გადასწყვიტა მიემართა თავისი ძალა მის წინააღმდეგ; და დაჟინებით უმეორებდა მას თავის მოთხოვნილებას, — მიეცათ ქალებისათვის პოლიტიკური უფლება. უგზავნიდენ მას დეპუტაციას, პეტიციას უყენებდენ კითხვებს მინისტრებს მიტინგებზე, ეწეოდენ მათ წინააღმდეგ და ლიბერალურ პარტიისა აგიტაციას არჩევნებში. კავშირის წევრები სარგებლობდენ ყოველი შემთხვევით, რომ დაემცირებინათ მინისტრები საზოგადოების თვალში.

რომ დაერღვიათ გულგრილობა ქალებში და მთელს ინგლისში ქალთა უფლებისადმი, კავშირი ეწეოდა კერძო პროპაგანდას ყოველგვარი საშვალებით, პირველად ეს ხდებოდა მიტინგებით. დემონსტრაციებით და თავისი საკუთარი გაზეთის დაარსებით, ბოიკოტით და სხვა. შემდეგ შიმშილის გაფიცვით და შენობების ნგრევით და მინების მსხვრევით. უკანასკნელმა საშვალებამ დიდათ ხელი შეუწყო საზოგადოების გამოფხიზლებას. სუფრაჟისტკები სახლებს ანგრევენ. შიმშილით ციხეში კვდებიან იძახდენ ირგვლივ, რომელზედაც დაინტერესდა ფართო საზოგადოება და იძლეოდა კითხვას: რასთვის? რათ ხდება ეს? პასუხი: ქალები თხოულობენ პოლიტიკურ უფლებას! ხალხი აზმაურდა, დაიწყო მსჯელობა ამ საგანზე და ამა თუ იმ მხარეს ემხრობოდა.

საკუთარი ორგანოს დაარსებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ინგლისში, როგორც ყველგან პრესსა, რომელსაც ხელმძღვანელობენ მამაკაცები ერთობ გულცივათ ეპყრობა ქალთა საკითხს. გაკვრით იქ რომელიმე ლიბერალი საუბრობს ქალთა საკითხზე, რომელიც უცებ დავიწყებას მიეცემოდა. საჭირო იყო მუდმივი გაზეთი სუფრაჟიზმისა, რომელიც შეუწყვეტლად შეახსენებდა საზოგადოებას ქალთა უფლებას. კავშირმა ჯერ გამოსცა გაზეთი „უფლება ხმისა ქალებისათვის“. მერმეთ „სუფრაჟისტკა“. იქ დაბეჯითებით ტარდებოდა კავშირის იდეია და ფართოთ ვრცელდებოდა ხალხში. კავშირის წევრები თვითვე ყიდდენ ჟურნალს ქუჩებში, პოულობდენ საკუთარს აგენტებს მის გასავრცელებლათ. თუ რა მნიშვნელობა ქონდა მათ ორგანოებს ქალთა უფლებისათვის ბრძოლაში, იმ ფაქტიდან ვხედავთ, რომ ინგლისის მთავრობა რომელიც დევნიდა კავშირს იმდენათ გაბრაზდა, რომ მან დაარბია როგორც შენობა კავშირისა ისე რედაქცია. როგორ უცქერდა კავშირს საერთო პრესსა, ამას გვიჩვენებს მისს პანკხერსტის სიტყვა ნაფიცთა სასამართლოში. გაზეთებში არ იხსენებოდა ჩვენი სიტყვები მიტინგებზე, არ იბეჭდებოდა ჩვენი წერილები მიუხედავათ ჩვენი ვედრებისა და ასე გასინჯეთ არც პარლამენტში შეტანილი საკითხი ქალთა არჩევანთა უფლებაზე. რედაქტორები გვეუბნებოდენ, რომ ამ კითხვას დიდი საზოგადო მნიშვნელობა არა აქვს, რომ ყურადღება მიექცეს და სხვა. ასე საუბრობდენ რედაქტორები პირველად, რომლებიც იძულებული იყვნენ შემდეგში ეგრე დიდი ყურადღება მიექციათ ქალთა მოძრაობაზე. 1907 წ. არჩევნების კომპანიის დროს გაზეთები აშკარათ გამოთქვამდენ თავიანთ გაკვირვებას იმ ენერგიაზე, გაბედულებაზე და სიმტკიცეზე რომელიც გამოიჩინეს კავშირის წევრებმა. მოძრაობის ზრდასთან ერთად პრესის ყურადღებაც გაიზარდა, რადგან ხალხი უფრო და უფრო დაინტერესდა. და ეს გასაგებიცაა. პრესსა იშვიათად ხელმძღვანელია საზოგადოებისა, მაგრამ ის ყოველთვის მისდევს მას კვალში.

თუ როგორ მუშაობდენ მილიტანტკები პროპაგანდისათვის ამის მაჩვენებელია გრანდიოზული დემონსტრაცია მოწყობილი 21 ივნის 1908 წ. ჰაიდ—პარკში, რომ დაემტკიცებინათ მთავრობისათვის ქალთა საკითხის გარდაწყვეტის საჭიროება. რამოდენიმე თვის განმავლობაში ისენი თავგამოდებული აწყობდენ მას და პროპაგანდას სწევდენ რომლის პლაკატებზე და განცხადებებზე დაიხარჯა 10,000 მანეთი. მათ მოფინეს ლონდონის კედლები და ყველა უმთავრესი პროვინციალური ქალაქები განცხადებებითა და თავიანთი წარმომადგენელთა სურათებით. მთელი კვირის განმავლობაში ქალთა პატარა ლაშქარი აკრავდა კედლებზე განცხადებებს, არიგებდა ფურცლებს ეწეოდა აგიტაციას ოჯახებში და მიმოდიოდა ქუჩებში პლაკატებით. ამიტომ ხელი შეუწყო მიტინგს და მოაწყოდა იმდენი ხალხი რომ „daily Fxpress“-ი აცხადებდა, რომ არასოდეს ერთს მიტინგზე ამდენი ხალხი ინგლისში არ შეკრებილა. კავშირი სწრაფად იზრდებოდა მისი განყოფილებები დაარსდა ყველა დიდი ბრიტანიის ქალაქებში. მას უკვე 100 ათასი წევრი ჰყავს. ყველგან მიტინგებზე ქალები უხვდებოდნენ მინისტრებს და აძლევდნენ მათ კითხვას ქალთა არჩევანთა უფლებაზე. ლიბერალები მუდმივ ხვდებოდენ არჩევნების დროს თვის. წინააღმდეგ ქალების აგიტაციას კავშირის ნივთიერი საშუალება თანდათან დიდდებოდა და მათ ყველგან შეეძლოთ ფართო პროპაგანდის გაწევა. მის წევრთაშორის ნახავდით სხვა და სხვა წრის ქალებს დაწყებული უმაღლეს საზოგადოებიდან უმდაბლეს მომუშავე ქალებამდი. ისინი იწოდენენ ტუზიაზმით და მათ იყვნენ გაუგონრათ თავიანთი სიცოცხლე ქალთა არჩევანთა უფლებისათვის. ისინი ტყვეობის დროს არ ჩერდებოდენ არავითარ საშინელების წინ, თავიანთი უჭმელობით და უსმელობით თავზარსა სცემდენ ციხის დარაჯებსა და მინისტრებს. მისს დევისონი ჯირითის დროს მეფის ცხენს დაეტაკა შესაჩერებლად, რომ შეხსენებოდა მისთვის ქალთა უფლება არჩევნებში და დაიღუპა.

დეპუტატების კანდიდატთა არჩევნებში სუფრაჟისტკებმა ისეთი გავლენა მოიპოვეს, რომ მათ აწონონ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისი აზრით აქ, დიდ როლს თამაშობს საზოგადო ბალები და ადგილობრივი უქმები, სადაც ახალგაზდა ქალიშვილი ხვდება ისეთ ხალხს, რომლებიც სარგებლობენ მისი გამოუცდელობით და ითრევენ მათ გარყვნილობაში.

პარიზში მოხეტიალე ბავშები ხშირად სცვივიან პროსტიტუციაში. ბავში ჯერ მათხოვრობს, შემდეგ ყიდის ყვავილებს და ბოლოს თავის თავსაც. მზრუნველობას, რომელსაც აგრე ხშირად მოკლებულია ობლები ჰქმნის მათ პროსტიტუტკებათ. პარიზის საიდუმლო პროსტიტუტკების მეოთხე ნაწილი, რომელთ ოჯახურ ცხოვრებაზე მან შეკრიბა ცნობები იყვნენ სრული ობლები. ცუდი ოჯახი, ცუდი ნათესაობა და ცუდს აღზრდას დიდი მნიშვნელობა აქვს ახალგაზდა ქალის პირველათ დაცემაში. თვით ისეთ მახლობელს ხალხს, როგორც არი დედა, მამა და ძმა ზოგიერთ შემთხვევაში წილი უდევს ქალიშვილის გარყვნაში. ფაბრიკები, მაღაზიები და სახელოსნოები ხშირად ღუპავენ ახალგაზდა ქალს. ზოგიერთი პარიზის დიდი მაღაზიები აწყობენ თავიანთ ჭერ ქვეშ საროსკიპოების მზგავს ოჯახებს. და ახალგაზდა ქალი, ჩავარდნილი იქ გამოუცდელობით თან და თანობით ხდება პროსტიტუტკა. ხშირია აგრეთვე ისეთი შემთხვევა, როცა რომელიმე სამრეწველო დაწესებულების პატრონი ყრვნის თავის მუშა ქალებს. ხშირად მცირე ხელფასი და გაჭივრება აიძულებს მათ მიეცენ პროსტიტუციას, მრავალი მაგალითია რომ უმუშაოთ დარჩენილი ქალი შიმშილით სიკვდილის თავიდან ასაცილებლათ გამოდის ღამე ქუჩაში ფულების საშოვნელად. ცუდი ნაცნობები და ამხანაგები დიდს როლს თამაშობს ბიწიერების სასარგებლოთ დ-რი Commenge უმთავრეს მიზეზათ პროსტიტუციისას სთვლის ქალიშვილის პირველს დაცემას, ფეხმძიმობით, და საყვარლების ღალატით 10 პროცენტს პარიზის საიდუმლო პროსტიტუტკებისას ამ მიზეზისა გამო აურჩევიათ თავიანთი ხელობა. მაჰანკლობა და სუტენერობა ღუპავს აუარებელს ახალგაზდა ქალებს პარიზში. მეორე გამომკვლევი პარიზის პროსტიტუციისა დ-რი Pileus. თავის მოხსენებაში ბრიუსელის საერთაშორისო კონფერენციაზე, თუ რა ზომებია საჭირო ვენერიულ სნეულების მოსაგერებლა: , ამ საკითხის გამოსაკვლევად (1899 წ.) აღნიშნავდა პროსტიტუციის შემდეგ მიზეზებს: სიზარმაცე, სიამოვნების წყურვილი, ფულის სიყვარული, სიღარიბე, უმუშაოთ დარჩენა, ცუდი მაგალითი, იძულება თუ თანხმობა ქმრისა ანუ საყვარლისა, მწუხარება ქმრისგან მიტოვებით და სხვა. ამ ჩამოთვლილს მიზეზებს ის უმატებს მიზანტროპიასაც. თუ რას გულისხმობს ის ამ სიტყვაში შემდეგი მაგალითი გვიჩვენებს:

მიზანტროპები ეუბნებოდენ მას: „მე არ მინდა მამაკაცის სიყვარული ისენი ზიზღის მეტს არაფერს არ იწვევენ ჩემში. მე ვეკუთვნები ყველას და მით არ ვეკუთვნი არავის, რომლითაც ვპობულობ საკმაო საშვალებას და ვარ დამოუკიდებელი. მე რომ მუშაობა დამეწყო მეყოლებოდა ან ქმარი, ან საყვარელი რომელიც მცემდა, მომატყუებდა და ფულებს წამართმევდა; ეს კი მე არ მსურს. დ-რი Pileus. მოგვითხრობს ასეთ მიზანტროპკაზე შემდეგს. ის ცხოვრობდა სოფელში და იყო 16 წლისა, როცა დედა მისი მეორეთ გათხოვდება. რაოდენიმე ხნის შემდეგ მამინაცვალი მას მოსვენებას არ აძლევდა. მან ეს უამბო დედას და მისი რჩევით წასულიყო პარიზში, სადაც ცხოვრობდა მამამისის ორი ძმა. ორთავე ბიძებმა მოექცენ მას ისე, როგორც მამინაცვალმა. „როცა ეს დავინახე, — ამბობდა იგი, ვიფიქრე, რომ ყველა მამაკაცები ერთნაირია და გადავწყვიტე სჯობს ვეკუთნოდე ყველას ვიდრე ერთს მათგანს“:

იმ საღამოსვე ის შესულა საროსკიპოში! არ შეიძლება მისი უარის ყოფა, რომ მას საფუძვლიანი მიზეზი ჰქონდა მიზანტროპიისათვის!

უნდა აღვნიშნოთ ისეც, რომ თუ ერთი მხრით ზოგიერთი ფრანგის ქალები თავის ეხნალდელს მდგომარეობაზე მამაკაცების თავაშვებულობით ასეთ პროტესტს აცხადებენ, როგორც ეს მიზანტროპკები და ეძლევიან პროსტიტუციას მეორე მხრით არიან ისეთებიც, რომელნიც თავიანთ პროტესტს სხვანაირად აცხადებენ. საფრანგეთში შესამჩნევად მატულობს რიცხვი მონაზვნებისა ე. ი. იმ ქალებისა რომლებიც სრულიად უარყოფენ გათხოვებას. ამ გვარად როცა მამაკაცები უარსაჰყოფენ შეუღლებას და უფრო მოხერხებულათ სთვლიან თავიანთ თავისათვის პროსტიტუციას, ქალებიც უარსა ჰყოფენ მას და შედიან მონასტრებში ან და სრულიად ეძლევიან ბიწიერებას

ყველა ეს ქმნის ისეთ პირობებს რომლის წინაშე ერის ხანგრძლივობა ერთობ საეჭვო მდგომარეობაში ვარდება. ხალხს, რომელსაც სიცოცხლე სურს პირველ ყოვლისა უნდა გამონახოს საშვალება პროსტიტუციასთან ბრძოლისა, რუსის ავტორები აღნიშნავენ აგრეთვე მიზეზებს პროსტიტუციისას. პეტერბურგის საექიმო საპოლიციო კომიტეტის ინსპეკტორი დ-რი-ფედოროვი თავის წიგნში „საექიმო პოლიციური ზედამხედველობა პროსტიტუციაზე პეტროგრადში“ მოჰყავს 143 სტატისტიკური ფურცელი ზედამხედველობის ქვეშ მოქცეული პროსტიტუტკებისა. იქ სხვა მიზეზთა შორის აღნიშნულია მცირე ხელფასი, ცუდი საზოგადოება, ადგილის დაკარგვა, ოჯახური უსიამოვნება, გართობის სიყვარული, სიყვარულში მოტყუება, გაჭირვება და სხვა.

ექიმი პაკროვსკაია.

(შემდეგი იქნება.)

ოპოზიციის დეპუტატების გამარჯვება. 1907 წ. სუფოლკაში უნიონისტებმა მიიღეს ორჯერ მეტი ხმა ვინემ წინათ. გამარჯვებულმა კანდიდატმა შეეკითხა ხალხს თუ რისთვის მოხდა ეს. ბრბო ყვიროდა: ,,არჩევანთა უფლება ქალებისათვის''.

მინ-დივონში აგრეთვე გაიმარჯვეს უნიონისტებმა.

ლიბერალურ პარტიის მომხრე ახალგაზდა ყმაწვილები და მოზარდები, როცა შეხვდენ მისს. პანხერსტსა და მისს მარტელს ყვიროდა: ,,ეს საქმე სულ ამ ქალების ბრალია! და დაუწყეს მათ ლაყე კვერცხების და მიწის სროლა. კავშირის გავლენა გაიზარდა; და სრულიად სამართლიანათ ამბობს მისს პანკხერსტი, რომ ის იყო უდიდესი და უძლიერესი ქალთა ორგანიზაცია, რომელსაც პარლამენტი ძალა უნებურად ანგარიშს უწევდა,

1906 წ. დეპუტატთა შორის შესდგა ჯგუფი რომელზედაც ქალების უფლებისათვის ბრძოლამ ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა; მათ შეადგინეს კომიტეტი და მიზნათ დაისახეს დაერწმუნებიათ მთავრობა მიეცათ არჩევანთა უფლება ქალებისათვის. პარლამენტის მინდობლების ვადის გათავებამდი და ამავე აზრით გავლენა მოეხდინათ ფართო საზოგადოებაზე და დეპუტატებზე. შემდეგ დაარსდა ,,მომარიგებელი კომიტეტი'' არაპარტიული, რომელმაც მიზნათ დაისახა ბილის შემუშავება ქალთა უფლებაზე, რომელსაც შეძლება ჰქონოდა დაეკმაყოფილებინა ყველა პარტია.

კომიტეტში შევიდა 25 ლიბერალი, 17 კონსერვატორი, 6 ირლანდიელი ნაციონალისტი და 6 მუშათა პარტიის წევრი.

კომიტეტის მიერ შემუშავებული ბილი წარუდგინეს ყველა ქალთა ორგანიზაციებს, რომელიც მიღებული იყო მიუხედავათ მისი სივიწროისა შედარებით მამაკაცთა უფლებასთან. შეთანხმებული ბილი შეიტანეს პარლამენტში, დეპუტატები მას სერიოზულათ მოეპყრო. თვით ასკვიტიც ვერ ბედავდა მის წინააღმდეგობას, მაგრამ როცა ხელმეორეთ წაიკითხეს იგი მის წინააღმდეგ ილაპარაკეს ორმა მინისტრმა ჩერჩილმა და ლოიდ ჟორჟმა და თუმცა მიღებული იქმნა უმრავლესობის 109 ხმის მიერ. თუმცაკანონათ მაინც არ გადაიქცა, რადგან ასკვიტმა უარი განაცხადა მიეცა დრო ბილის შესახებ თათბირისა მომავალ სესიაში და არ წამოაყენა ის შემდეგი კრებისათვის. ეს ბედი ეწვია 1911 წ. შეტანილს ბილსაც რომელიც უმრავლესობის მიერ მიღებული იყო მაგრამ ასკვიტის წყალობით გადაუქცეველი კანონათ. პრემიერი იძლეოდა ბუნდოვანს დაპირებას და ინახავდა მას იმ დროისათვის სანამ არ მოიგონებდა ახალს ხვრელს, რომლითაც უფართოვებდა მამაკაცებს უფლებას და ქალებს კი არასფერსაც არ აძლევდა

(შემდეგი იქნება)

ჩვენს დროშას

მაღლა აფრინდი ჩვენო ალამო,
შემოიკრიბე ტანჯულთა გუნდი!
დროა იარებს მოვს'ცხოთ მალამო,
დროა გავსწყვიტოთ მონობის ხუნდი!

თავისუფლების სხივთა კრიალმა,
რომ ჩვენც მოგვფინოს თავისი იერი!
მტკიცეთ მივდივართ ბრძოლისა ველზე,
ვერ შეგვაჩერებს სიტყვა ცბიერი!

ქართველი ქალის, ძლიერი სული
ხედავთ იღვიძებს და ფეხზე სდგება?!
რაზმი რაზმს მოსდევს და ბრალი მისი,
ვინც წმინდა მიზანს წინ აღუდგება.

ლენა ზადეკა.

საუბარი მუშა ქალებთან.

II

მაშ შრომის შვილებო, რომ უბრალოთ დრო არ დავკარგოთ ვისაუბროთ ჩვენს ჭირს ვარამზე. ნუ დავივიწყებთ [illegible] ყოველივე წუთი ჩვენთვის დაუფასებელია, დღეს თუ არა როდის უნდა აღიმაღლოთ თქვენი ხმა? მამაკაცები ცდებიან, როდესაც ხედავენ ქვეყნის ხსნას მარტო თავიანი მოქმედებაში. ეს უტოპიაა მათი მხრივ; და ამას ზოგიერთი მამაკაცები ნათლათ ხედავენ, რომლებიც ურწმუნო თომებს უთვალისწინებენ, რომ ქვეყნის ხსნა მარტო მამაკაცებს არ შეუძლია, რომ ქვეყნის ხსნა მხოლოდ და მხოლოდ ქალებთან ერთად შეიძლება.

და ეს ასეც არის! ეს მოვლენა სულ უბრალოთ ასახსნელია.

მებრძოლ დედას, მებრძოლი შვილი ყავს, ვინაიდან დედა თავის პირმშოს ძუძუსან ერთად ხასიათის სიმტკიცეს, ზნე ჩვეულებას, უნერგავს. 8 წლამდი ბავში დედის ხელშია და თუ ის კარგი გავლენის ქვეშ არის მისი ადამიანური ღირსებაც უზრუნველ ყოფილია.

უდედო ბავში უბედურია არა მარტო ბავშობაში, არამედ მთელს მის სიცოცხლეში

ბავშებს სასწავლებელი წრთვნის ისევ საბრალო დედის დახმარებით.

სად არის ამ დროს მამაკაცები? ბალ-ვეჩერებში-კარტ-ლოტო-ნარდს შეექცევიან. ისინი შვილების გაზდაზე ბევრათ არა სწუხდებიან. და სახლში ბრუნდებიან მხოლოდ დასასვენებლათ.

დააკვირდით დებო, და ნათლად დარწმუნდებით, რომ უმრავლესობა შვილებისა ქალების, მუშა ქალების თაოსნობით იზდებიან სასწავლებელში.

ასე ამ რიგად, თუ ვიტყვით ქალები უფრო შეხარიან ქვეყნის განახლებას, ვიდრე მამაკაცები. მიუხედავად ამისა მამაკაცთა უმრავლესობის თვალში, მუშა ქალები ზედმეტათ ითვლებიან. და ისე გიცქერიან ვით მონებს, ბუნებრივათ გაჩენილთ მონობისათვის, რომლებიც უნდა ემორჩილებოდეთ მათ ბატონობას.

დაფიქრდით დებო, თქვენს დამცირებულ მდგომარეობაზე, ხმა ამოიღეთ ებრძოლეთ ამ უკუღმართობას და თუ ყველას არა ბევრს ჩააფიქრებს თქვენი სამართლიანი პროტესტი, ბევრს შეარცხვენს.

თქვენს ხელთ არის და თქვენვე შეგიძლიათ მოსპობა მისი. იბრძოლეთ, უჩვენეთ თქვენს ბატონებს, რომ თქვენში არსებს ადამიანი და არა სუსტი არსება, რომელსაც უმამაკაცოთ ცხოვრება არ შეუძლია.

აი მაგალითად დღეს სადმე თქვენ თავ-მოყრილი ხართ და მოვიდენ იქ მამაკაცები. სულ მცირე მათ რიცხვში გაიზიარებს თქვენს სჯა-ბაასს და უმრავლესობა კი ვით მელა დაუწყებს თვალიერებას და ლაზღანდარობას იმას, ვინც მას მოეწონება.

ვინ მოეწონება ამ ვაჟბატონს? ის ვინც უფრო მეტათ ხელოვნურათ შეღებილი იქნება. მოეწონება ის, რომელიც ყოველი სიტყვის თქმაზე. კისკისითა და პრანჭვა გრეხით უპასუხებს მას, რომელსაც არ შეეძლება თავისი „მეს“ გამოჩენა და მისი დაცვა დაფასება.

მერმეთ რა შედეგი მოაქვს მის ასეთს საქციელს? ერთობ ცუდი თქვენი პიროვნების აღდგენისათვის და გამოსადეგი თქვენი უფლების მტერთათვის!. დებო, ეწინააღმდეგეთ ამ მოვლენას შეაგნებინეთ თქვენს ჩამო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რჩენილს ამხანაგებს, რომ ის არის ადამიანი და არა მარტო უპიროვნო სქესი. რომ ასეთი ქცევით ის ამცირებს თავის ადამიანურს ღირსებას და კარგავს საამისო უფლებას

საზოგადოთ ხელოვნური სილამაზე ათას ნაირი ტუჩების, თუ წარბწამწამების ხელოვნურათ შეთხუპვნას ადამიანისათვის მავნებლობის მეტი არა რა მოაქვს.

ის ადამიანი, რომელიც ამ მავნებელ საზიზღარ საშვალებას არ ხმარობს უკეთესია სხეულითაც და ავებოლობითაც. ასეთი ნაძალადევი სილამაზე და მიმზიდველობა, არა თუ არ ალამაზებს ადამიანს, არამედ სულიერად და ხორციელად ამახინჯებს მას.

მეორე მხრივ კი ის ადამიანურ ღირსებას გიკარგავთ მამაკაცების თვალში, რომლითაც თქვენი უფლების მტერნი სარგებლობენ. დებო, ნუ ვბედავ ამის თქმას მისთვის, რომ თქვენი მოკეთე ვარ; და ჩემის არსებით მინდა თქვენი უფლებისათვის თავიც გავსწირო. ერთს საღამოს შემთხვევა მქონდა ერთ მონტელიგენტო დას სასეირნოთ გავყოლოდი.

ისე შეღამებული იყო, რომ მე და ჩემი მეგობარი ერთი მეორეს ძლივს ვარჩევდით, უეცრივ ჩემს მეგობარ ქალს სიცილი წასკდა. ეს სიცილი მასში გამოიწვია სახეზე ცხვირ სახოცის გადასმამ. სინათლეზე გავედით, ის კვლავ სიცილს განაგრძნობდა.

—რას იცინით შევეკითხე მე.

—იმას, რომ თქვენ ვერ გაიგეთ!

—რა უნდა გამეგო? კვლავ შევეკითხე მას. დავაკვირდი და დიდათ გავიკვირვე, როცესაც ჩემი თანაგზავრის სახე თოვლივით თეთრი ვნახე. საიდუმლოება გავიგე უპასუხე მეგობარ ქალს.

—მაგრამ რათ დაგჭირდათ ეს, ნუ თუ არ გეყოთ სარკის წინ სახლში გალამაზება?

ამ პასუხმა მეგობარი ცოტა არ იყოს დააფიქრა, მაგრამ რამდენათ მასზე ეს სიტყვები იმოქმედებს ეს თქვენ გადასწყვიტეთ!

აი დებო, რამდენათ შეჩვეულია ზოგი ზოგი ქალები თხუპუნას?

წარმოიდგინეთ გზაშიც სეირნობის დროს ცხვირ სახოცში გახვეული აქვს ფერ უმარილები! როგორ მოგწონთ?

ასეთი ხელოვნური სილამაზე მშვიდობიან ოჯახსაც ანგრევს. იმ კაცის მეუღლე, რომელსაც შეძლება ხელს არ აძლევს და მუდმივ პრანჭა გრეხაში ატარებს დროს და კოხტაობს ის ნამდვილი მტერი ქმარშვილისა და ოჯახისა, რომელიც თავისი სი[illegible]ულით იწვევს სხვა და სხვა უსიამოვნობას, განხეთქილობას ცოლქმართა [illegible]ა და აძლევს შვილებს გამრყვნელ მაგალითს. და განა გასაკვირია, რომ ასეთს ქალებს მამაკაცები გასართობ[illegible]ანათ სახავდენ? თქვენი მოვალეობა ა ებრძოლოთ ამ დამღუპველს [illegible]ნე ჩვეულებას დაიფასეთ თქვენი თავი და სხვებიც დაგაფასებენ! დღეს ამით ვსწყვეტ თქვენთან საუბარს [illegible] დებო!

ხელოს--ძმა.

ჟურნალ-გაზეთებიდან,

ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის ავათმყოფობა.

ყოფილი უმაღლესი მთავარსარდალი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე, რომელიც ამ ჟამათ სცხოვრობს ჩაირში ნევრასტენიით სერიოზული ავათმყოფია. ექიმები მას სრულს სიმშვიდეს უწერენ.

პროვაკატორი მდივანი ბურცევისა.

როგორც გაზეთები გადმოგვცემენ ბურცევის მდივანი პროვატკატორი აღმოჩდა. ერთს პეტროგრადის გაზეთში ბურცევს ეკითხებიან, თუ რასთვის ის არ აცხადებს პრავაკატორის სახელს.

ზოგიერთ ჟურნალისტების შეკითხვაზე ორი თვის წინათ ბურცოვმა განაცხადა: მე კიდევ ვიმეორებ, რომ ახლო მომავალში გამოვაცხადებ სახელს პროვაკატორისას, დღემდე ყველა საზოგადო მოღვაწეობიდან პატივცემულს, რომლის ჯაშუშობას არავინ არ წარმოიდგენდა. ჩემთვის დიდი ზნეობრივი სატანჯველი იქნება მისი დასახელება. მისი პროვაკატორობა გამოიწვევს გაკვირვებას არა მარტო რუსეთში, არამედ მთელს ევროპაში, იმდენათ ის პატივცემულია, როგორც საზოგადო მოღვაწე.

„რ. ს.“

მისს. პანკხრესტი რუსეთში.

პატარა ექსკურსია თავისუფალი სესხის პროპაგანდისათვის მოგზაურობას აპირებს რუსეთში. მათ შორის ურევია ბელადი ინგლისელ სუფრაჟისტკებისა მისს. პანკხრესტი. ადელგეიმი და ტენორი კაჩენოვსკი და სხვა.

სრულიად რუსეთის ყაზახთა ყრილობა

სრულიად რუსეთის ყაზახთა ყრილობაზე მიღებულ იყო შემდეგი რეზოლუცია: რუსეთი უნდა დარჩეს განუყოფელი, დემოკრატიული რესპუბლიკანური მმართველობით და ფართო ადგილობრივი თვითმართველობით.

ახალი ამბავი.

ამ მოკლე ხანში სათირჩხის ამაღლების ეკლესიის გალავანში, **გაიმართება** ადგილობრივ სამკითხველოს და აღმასრულებელი კომიტეტის სასარგებლოთ, გაიმართება საღამო.

— როგორც გადმოგვცეს ქუთაისის ქალაქის სანიტარული ექიმი ბ-ნი ა. დ. მაჭავარიანი დაუნიშნავთ ბათომის ოლქის უფროსი ექიმის თანამდებობაზე.

— თანახმათ საგუბერნიო კომიტეტის განცხადებისა ამ მოკლე ხანში შესწყვეტენ ქუთაისიდან ხილეულობის გაზიდვას, ყველა ეს გამოიწვია ვაგონების სიმცირემ.

— დღემდის, ქუთაისის გუბერნიისათვის სხვა და სხვა სანოვაგის მოსატანათ რიგში ნარიადში ჰქონდათ 150 ვაგონი. ამ ჟამათ კი როგორც ქალ. სასურ. კომიტეტი გვაუწყებს, მხოლოდ 15 ოიდე ვაგონს იძლევიან. ამიტომ სასურსათო-კომიტეტმა დაადგინა ენერგიული ზომები მიიღოს, რომ პურის ფქვილი ზღვით მოიტანონ.

სამტრედიიდან.

იმედები დიდია, მოწაფე ახალგაზრდობამაც ინტერესით მოეკიდა ჩვენი გაზეთის არსებობის უზრუნველ ყოფას. პატარა ქალებმაც გამოესარჩლენ მის ინტერესებს და გაბედულათ მოვემართენ ჩვენ უფროსებს დახმარება აღმოგვეჩინა მოგვემზადებინა ისენი და გაგვემართა საბავშო საღამო, რომლის წმინდა შემოსავალი აღუთქვეს გაზეთს „ხმა ქართველი ქალისას.“ ჩვენც არ დავზოგეთ ჩვენი ენერგია და რაც მოსახერხებელი იყო ამ ცოტა ხანში მოვამზადეთ პატარა მოზარდი ქალები მხიარულ საღამოსათვის, რომელიც გამართულ იქნა 18 ივნისს 1917 წ. სამტრედის ახალ კლუბში, სადაც ხალხი გვარიანათ დაესწრო. საღამო კარგათ ჩატარდა, საზოგადოებაც კმაყოფილი დაიშალა.

დიდ მადლობას უცხადებ მათ, ვინც ამ საღამოზე დახმარება გაგვიწია და მასთან სამტრედიელ საზოგადოებას მათი ჩვენდამი ყურადღებისათვის.

გიგზავნით ამხანაგო რედაქტორო, ბავშებისვე სურვილით თქვენი გაზეთის ფონდის გასაძლიერებლათ ხსენებულ საღამოზე დარჩენილ წმინდა შემოსავალს სამოც და თოთხმეტ მანათს და სამ აბაზს 75 р. 60 коп.

პატივისცემით. აგაშა სტურუასა.

უსამართლო ხალხი.

არაბეთში არსებობდა ოდესღაც პატარა ერი, რომელსაც ხალხი სახელად ტროგლოდიტებს ეძახოდა.

ტროგლოდიტები იყვნენ ისეთი მხეცი და ავი, რომ წარმოდგენაც არ ჰქონდათ სიმართლეზე და სამართლიანობაზე. მათი მეფე იყო უცხოელი და სურდა რა ტროგლოდიტთა სასტიკი ზნეობის მოტეხა მკაცრად ექცეოდა მათ.

ერთ დღეს მოახდინეს მის წინააღმდეგ შეთქმულობა მოკლეს მეფე და ამოწყვიტეს მთელი მისი ოჯახი. მოიშორეს რა თავიდან სასტიკი მეფე მოიყარეს ერთად თავი რომ ამოერჩიათ ახალი მთავრობა. მაგრამ აირჩიეს თუ არა ახალი თანამდებობის პირნი უმალ შეიძულეს ისინი და ყველანი ერთად გასწყვიტეს. გაინთავისუფლეს თავი თუ არა ახალი ბატონებისაგან ტროგლოდიტებმა დაიწყეს ცხოვრება, როგორც მოითხოვდა მათი მხეცური ჩვეულება.

გადაწყვიტეს რომ კვლავ არ დაემორჩილებოდენ არავის, რომ თითეული მათგანი დაიცავდა თავის ინტერეს-წინააღმდეგ სხვისი ინტერესებისა.

ერთს ტროგლოდიტს ჰქონდა ნაყოფიერი მიდორი, რომელსაც დიდი გულმოდგინეობით ამუშავებდა ეს შეეხარბა მის ორ მეზობელს მიუხტენ მას გააძევეს თავის ოჯახიდან და დაეპატრონენ მიდორს. შეკრეს ორთავემ კავშირი მათ წინააღმდეგ, ვინაც მიონდომებდა მინდორის მფლობელობას. რამდენიმე თვის განმავლობაში ორთავენი ეხმარებოდა ერთმანეთს და ერთათ განაგებდენ ნადავლს. მაგრამ ერთს მათგანს მობეზრდა ამხანაგისთვის წილის გაზიარება, მოკლა ის და გახდა ერთად ერთი გამგე მიდორისა. მაგრამ დიდ ხანს არც ის იყო მფლობელი მინდვრისა. მოვიდენ ორი ახალი ტროგლოდიტები დაეცენ მას და მოკლენ.

ამ ხნის განმავლობაში ტროგლოდიტების ქვეყანაში გაჩდა გადამდები სენი. მახლობელ ქვეყნიდან ჩამოვიდა ოსტატი ექიმი მისცა ავათმყოფებს წამალი და ყველანი მოარჩინა. როცა ეპიდემია გაქრა ექიმი დაუბრუნდა თავის პაციენტებს და მოსთხოვა მათ საფასური თავის შრომისა. მაგრამ არც ერთს მათგანს არ სურდა მისი გადახდა. ექიმი დაბრუნდა თავის ქვეყანაში დაღალული ხანგრძლივი შრომითა და მოგზაურობით.

მაგრამ მალე გაიგო, რომ იგივე სენი ისევ გავრცელდა ტროგლოდიტების ქვეყანაში და უფრო მძაფრათაც ვიდრე წინათ.

ტროგლოდიტები ისევ დაბრუნდენ მასთან და სთხოვეს, ექიმს, რომ წაყოლოდა ის ავათმყოფების სამკურნალოთ, თუმცა თვითვე არ ჰქონდათ იმედი! რომ ექიმი დაეთანხმებოდა მან. ასედაც მოხდა.

— „გამეცალეთ უსამართლო ხალხო, უპასუხა ექიმმა — შხამი, რომლითაც აღვსილია თქვენი გული უფრო საშიშარია, იმ შხამზე, რომლიდან განკურნებას თქვენ ჩემგან თხოულობთ.

თქვენ არა ხართ ღირსი, რომ გეპიროთ ადგილი დედამიწაზე, რადგან თქვენში არ მოიპოვება ადამიანობა და სამართლიანობა ხომ სულ უცნობია თქვენთვის.

მონტესკიე.

დ. ყვირილიდან

შემოწირულება ჩვენი გაზეთის სასარგებლოთ.

[illegible], ბერიძისა	3 მ.
ანეტა ოქროპირიძისა	3 მ.
კნეინა მათიკო აბაშიძისა	3 მ.
კნეინა ალექსანდრა აბაშიძისა	3 მ.

მისაბაძი მაგალითი.

ს. ჩანჩეთის ქალთა წრეს კესარია მოისრაფეშვილის ასულმა გამოუწერა ჩვენი გაზეთი ექვსი თვით.

ყურადღება!

მაქვს პატივი ვაუწყო პატივცემულ მკითხველთ, რომ დიდი ხნის დაკვირვებით და გამოცდილების მიხედვით ვაქიმობ-კუჭების, ღვიძლის, ბავშვების საყმაწვილო სნეულებებს — და აგრეთვე ნერვიულათ — დაავათმყოფებული როგორც მოზარდ-თაობას, — ისე მცირე წლოვან და უსუსურებსაც..

მსურველ საჭიროების მიხედვით შეუძლიათ მოგვმართონ — შემდეგი ადრესით: „ქუთაისი ძველი თფილისის ქუჩა. აპელის სახლები. — გულნარა ქაიხოსროს ასული კანდელაკისა.

მიღება — შეიძლება — დილის 8 - საათიდან საღამოის — 6 — საათამდე